დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

წევრები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი

ნინო რამიშვილი

ნატო გაბოშვილი

გუგა კობახიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 226157379

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 28 ივნისის №774620 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და "Front-End დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 8 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში. ((მის: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა წაღვერი, დავით აღმაშენებლის ქ. №25). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ წაღვერის საჯარო სკოლა ავტორიზებულ რეჟიმში აგრძელებს საქმიანობას 2023 წლიდან და ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. ავტორიზაციის შედეგად სკოლას განესაზღვრა მოსწავლეთა ზღვრული ნორმა-350 მოსწავლის ოდენობით. ამჟამად სკოლაში სწავლობს 204 მოსწავლე.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომელმაც შეაფასა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს არ შეუშლის მის ძირითად საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
„FRONT-END დეველოპმენტი“	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 4.1.1.1. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა/გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 *წლის* N47 *სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.*

4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალური იხ. 4.1.1.2. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

8. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

8. 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.1. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.3. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის განვითარება, დაწესებულების დირექტორის *13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.*

2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.5. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მისიაა: სახელმწიფო განათლების სტრატეგიის შესაბამისად, სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის მისიაა ხარისხიანი, ინოვაციური განათლების უზრუნველყოფა, ზუსტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება, საგანმანათლებლო და სამეწარმეო სექტორების ინტეგრაცია, უწყვეტი სწავლისა და პროფესიული განვითარების კულტურის ჩამოყალიბება და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

ასევე სკოლა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა, მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა და პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. მომხმარებლებისათვის მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების ზრდას. სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. უფრო კონკრეტულად, პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, კონკურენტუნარიანობის გაძლიერება. იგი მისცემს ახალგაზრდებს საშუალებას უპასუხონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადებით ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკის ისეთ მიზანს, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და პროფესიული სტუდენტის უწყვეტი პროფესიული განვითარება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.1.დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია არის გასაგები და მამოტივირებელი. მასში იკვეთება დაწესებულების ძირითადი პროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაუპირისპირდეს თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან - დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან და წარმოადგენს დაწესებულების მომავლის სურათს კერძოდ: დაწესებულების ხედვაა 2030 წლისათვის ითვალისწინებს სკოლის დამკვიდრებას, როგორც მოწინავე განათლების ცენტრისა, რომელიც სინთეზირებს აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკულ კომპეტენციებს თანამედროვე განათლების მეთოდოლოგიის ჩარჩოებში. სკოლის ხედვაა: „ჩვენი კურსდამთავრებულები წარმოადგენენ კონკურენტუნარიან, ინოვაციური აზროვნების მქონე და სოციალურად პასუხისმგებელ პროფესიონალებს, რომლებიც მზად არიან საერთაშორისო თანამეგობრობაში წარმატებული ინტეგრაციისა და ეროვნული განვითარების პროცესებში აქტიური მონაწილეობისთვის“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ღირებულება- განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

საქართველოს წარმატება;
პატრიოტიზმი
პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
მიუკერძოებლობა;
საკუთარ პასუხისმგებლობას;
საერთო საქმისკეთება და სკოლის ერთგულება;
უწყვეტი განვითარება
ჯანსაღი ცხოვრების წესი
ტოლერანტობა
შემოქმედებითობა
უწყვეტი განვითარება

სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

გამჭირვალობა: ჩვენი საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

მიუკერძოებლობა: ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

თანამშრომლობა: ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

ობიექტურობა: ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

განვითარება და ინოვაციურობა: სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ გვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მოთხოვნა, რომ ისინი და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *სკოლის მისია, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე*
- https://surli.cc/qqbnvo
- *სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა - მისია, ხედვა, ღირებულებების ნაწილი სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები ცვლილებასთან დაკავშირებით;*
- *სკოლის ხედვა, მისიისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის შეხვედრის ოქმი* შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; კონკრეტულად, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტებით, უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვა, ისინი შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებთან. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის უფლებები. სკოლის დირექტორის 09.06.25 წლის N41 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი (გვ. 35), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ორგანიზება (გვ. 38), აპლიკანტთა შერჩევა (გვ. 39), სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები (გვ.68) ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები და სხვა. შემუშავებულია სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა *(მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში)*, რომლითაც გარანტირებულია სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 39 განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის გარემოებებს, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დებულების 42-ე,42-ე,44-ე მუხლები უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

61-ე მუხლი არეგულირებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საფუძვლებს, 62-ე მუხლი -ფორმალური განათლების აღიარების ეტაპებს და ვადებს, ისინი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“

პროფესიული სტუდენტის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიმართ, დისციპლინური წარმოების შესახებ, რომელიც დისციპლინური გადაცდომის ზომიერია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 48, მუხლი 49 განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. სკოლის დირექტორი 09.06.25 წლის N41 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების (თავი III და IV) თანახმად, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლა აწყობს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრებს. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დირექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი). პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს გაეცნოს ზსდ-ის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ზსდ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე.

ასევე, დებულების თანახმად, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დირექტორის მოადგილე შეიმუშავებს „ბუკლეტს“, სადაც თავმოყრილია ყველა ინფორმაცია სკოლის სერვისების სახეებისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. აღნიშნული „ბუკლეტი“ პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა სკოლაში გამოცხადებისთანავე და დაეხმარება მას სკოლის შიდა პროცესებთან ადაპტაციაში;
პროფესიული სტუდენტების მიერ, საკუთარი უფლებების გაცნობა დასტურდება, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმითაც.

ასევე აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე/გამოკრულია დაწესებულებაში, თვალსაჩინო ადგილას თავისუფალი წვდომის რეჟიმში და დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების (თავი III და IV) თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს, მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, ასევე, მათი უფლების შესახებ, რომ შეუძლიათ შეფასების შედეგების გასაჩივრება. გარდა ამისა, დებულება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარებას სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, თვეში არანაკლებ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება რიგ გარეშე შეხვედრები იმ პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას, სადაც განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლებები. ასევე, გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.

პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც გაწერილია, რომ იგი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს კონსულტირება, მათ შორის შეფასების სისტემაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებითი ჩატარება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.3. დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 28) არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთან/არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხებს. დებულების თანახმად, დირექტორის მიერ ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნის/შშმ/სსმ პირის შემთხვევაში, მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება.

პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს, პროგრამის დასახელებას რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს. აქვე განსაზღვრულია, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან შშმ/სსსმ პირის შემთხვევაში(გარკვეული საჭიროებისას) მისი კანონიერი წარმომადგენელი.

ხელშეკრულების შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებს და მასში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.4. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობას, მათ შორის პროფესიული სტუდენტთან/კანონიერი წარმომადგენლთან გეგმის შეთანხმების ვალდებულებას.

მექანიზმში გაწერილია, რომ დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიულის სტუდენტის მონაწილოებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული იქნება პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. შეთანხმების შედეგად ინდ. გეგმის პროექტი შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად დამტკიცდება. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მას უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (ბრძანება N41 (09.06.25)
- *დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის უფლებები.* (ბრძანება N55 .13.06.25)
- *სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში)*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორი 04.06.25 წლის N32 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული.
მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

შესაბამისად დაწესებულებას, დირექტორის 13.06.25 წლის N47 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.1. - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

2. ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის გაწერილი. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე.

ასევე სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხიმგებლობის ეფექტური გადანაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

შესაბამისად დაწესებულებას, დირექტორის 13.06.25 წლის N47 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.2. - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

3. ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სკოლის დირექტორის 13.06.25 წლის N49 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.3. - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (04.06.25 წლის N32 ბრძანებით)
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (13.06.25 წლის N47 ბრძანებით)
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (13.06.25 წლის N49 ბრძანებით

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 04.06.25 წლის N31 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე/საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.1. - დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 04.06.25 წლის N31 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა.

ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით.

დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. - დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, დაკმაყოფილებულია.

3. ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რომლის შესაბამისად არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. ყველა პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.3. - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, დაკმაყოფილებულია.
4. დირექტორის 04.06.25 წლის N31 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები.

დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.4 - დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *დაწესებულების შინაგანაწეს (N57 **13.06.25**))*
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (04.06.25 წლის N31 ბრძანებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 13.06.25 წლის N48 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა წაღვერი, დავით აღმაშენებლის ქ. N25
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება დასახლების/რეგიონის მიხედვით. ის თანხვედრაშია დაწესებულების, მისიასთან და შესაბამისად სტრატეგიულ განვითარებასთან რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას და პროგრამათა სპექტრის გაფართოვებას.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორი - დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. ,,Front-end დეველოპმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიცინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა 10 კლასის დაძლევა.
დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. პროგრამის განხორციელების ვადა ორი წელია. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დირექტორის 09.06.25წლის N42 ბრძანებით ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (თავი X), რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას, როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს.
აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.
Front-end დეველოპმენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ორი სასწავლო აუდიტორია. ერთი B გარემო (კომპიუტერების ოთახი), გამოიყენება დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად, ასევე, „მეწარმეობისა“, „უცხო ენის“ და ინტეგრირებულის თეორიული მოდულებისთვის A გარემო. რაც შეეხება ლაბორატორიას ინტეგრირებული მოდულებისთვის (მეცნიერების და ტექნოლოგიის მოდული) სადაც განთავსებული იქნება შესაბამისი ლაბორატორია .

აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამაზე სტუდენტების კვოტა ჯამში განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3.- - დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი სკოლას სრულად აქვს განსაზღვრული. Front-end დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია, ასევე, საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4. - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.5. - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-2[1] მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა front-end დეველოპმენტი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის 13.06.25 წლის N48 ბრძანებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6. - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება ,Front-End დეველოპმენტი" არ შეცვლილა და იგივეა რაც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. იგი სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7.- დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი Front-end დეველოპმენტი.** პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8. - დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (09.06.25 N42 ბრძანებით) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები;*
- *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;*
- *საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტის" (პაკეტი)*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (13.06.25 წლის N48);*
- *ინტერვიუს შდეგები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **Front-end დეველოპმენტის** შედეგები მიიღწევა დაწესებულების A და B ტიპის სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით. თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ჯერ არის სკოლის მფლობელობაში.

შესაბამისად დაწესებულებას, დირექტორის 13.06.25 წლის N47 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

მატერიალურ რესურსის შესყიდვა დასრულდება არაუგვიანეს 6 თვის ვადაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მეტწილ შესაბამისობაშია.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის ფარგლებში ჯამში წარმოდგენილია 22 მასწავლებელი. მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან თითოეული არის 22/30 რაც უზრუნველყოფს **Frontt-end დეველოპმენტის** ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2. - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, შესაბამისობაშია.

3. ამჟამად, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული ყველა პირი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, თუმცა, დაგეგმილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარება სწავლებისა შეფასების კომპეტენციის გაუმჯობესების მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, დირექტორის 13.06.25 წლის N47 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3. - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მეტწილ შესაბამისობაშია.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილება. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 - პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით - შესაბამისობაშია.

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, რისთვისაც, დირექტორის 13.06.25 წლის N47 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, მეტწილ შესაბამისობაშია.

6. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, შესაბამისობაშია.

7. დაწესებულების მიერ შემუშავებული საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში- პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული,პროგრამული მხარდაჭერა და უზრუნველყოფა, სხვა ხარჯი (სერტიფიკატი, დიპლომი, დიპლომის დანართი სხვა), სხვა ხარჯები, რომელიც შეიძლება სკოლას ჰქონდეს გასაწევი ვაუჩერული დაფინანსებიდან (მაგ:პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შეკეთება, ცვეთა და ა.შ).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.7 - დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (13.06.25 წლის N47 ბრძანებით);*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (პაკეტი);*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება- სსსმ პირების სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფის კონტექსტში;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 09.06.25 N41 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას.

პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია კითხვარები:

- სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა
- მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი
- მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1. - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა, შესაბამისობაშია.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.2. - დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, შესაბამისობაშია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- *ბრძანებით დამტკიცებული ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესი (N54 13.06.250*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმით დაცულია ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკურობა. სასწავლო გეგმა გაწერილია ორ წელზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, შესაბამისობაშია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.
დებულებით რეგულირდება, ასევე, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. სტუდენტებს აქვთ, ასევე, მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში.
დებულებები ითვალისწინებს, ასევე, ვერიფიკაციისა და ინტეგრირებული მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე , ინდიკატორი 2.4.1.2.-დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, შესაბამისობაშია.

3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანათლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, შესაბამისობაშია.

4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა (მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში), რომლის თანახმადაც სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.4.1.4.-პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაბისობაშია.

5. დაწესებულება აღნიშნულ ეტაპზე პარტნიორი ორგანიზაცია არ ჰყავს

ინდიკატორი 2.4.1.5. - დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელპარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; შესაბამისობაშია.

6. დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო გარემო. სკოლა ავტორიზებულია და აკმაყოფილებს სტანდარტის მიხედვით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. ხოლო რაც შეეხება პროგრამას, სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების წესებს.

ინდიკატორი 2.4.1.6 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; შესაბამისობაშია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება სწავლის შედეგების მიღწევისას, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის ნაწილში, ვერიფიკაციის ნაწილში (*09.06.25 N41 ბრძანებით);
- *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი-- N54 13.06.25*
- *სასწავლო გეგმა;*
- *ვიზუალური დათვალიერება;*
- *ინტერვიუს შედეგები*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი.

მარეგულირებელი წესი მოიცავს შეფასების სისტემას - შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შესაბამისობაშია.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. .ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც ეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; შესაბამისობაშია.

3. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესში გაწერილია აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3. - დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შესაბამისობაშია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის., შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება სწავლის შედეგების მიღწევისას, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის ნაწილში, ვერიფიკაციის ნაწილში (*09.06.25 N41 ბრძანებით);
- *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი-- N54 13.06.25*
- *სასწავლო გეგმა;*
- *ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

23.07.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: